ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 64

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

16 აგვისტო 2019 წ.

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი - ლევან დარახველიძე.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი-ნინო კვეტენაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან დარახველიძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭი უყარა დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ-ანგარიში
2. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი #11-01192272734 ქალაქ თბილისის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გადანაწილების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, ჟორესის ქუჩა №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.22.003.022.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319204151-03 23.07.2019)
4. ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, სახლი №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.15.005.051.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319204151-03 23.07.2019)
5. ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევის №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.046) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319204151-03 23.07.2019)
6. ქალაქ თბილისში, თემქის დასახლების IV მიკრორაიონში, კორპუს №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.02.004.010.01.025) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319204151-03 23.07.2019)
7. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივის VI კვარტალის კორპუსი №9-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.030.010.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი

განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319204151-03 23.07.2019)

8. ქალაქ თბილისში, მუხიანი-თემქის გადასასვლელის მიმდებარედ არსებული 644 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.004.430) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319204149-03 23.07.2019)
9. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.019) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეორგიოს ყავასთვის" (ს/ნ: 402072047) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319204150-03 23.07.2019)
10. ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.14.003.201) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის" (ს/ნ: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319204150-03 23.07.2019)
11. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.074) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სოფიო ზაქარიაშვილისთვის (პ/ნ: 01005004689) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0319204150-03 23.07.2019)
12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქონების მართვის სააგენტოს, 2018 წლის 17 ოქტომბრის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N ე-428-26-22761 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე (საკრებულოს N12-03192192-03 07.08.2019)
13. ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №64-74-ის მიმდებარედ არსებული 3190 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.002.622) 25 კვ.მ. ფართობის და 19 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლიბერთი ბანკისთვის" (ს/ნ: 203828304) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-031920390-03 22.07.2019)
14. ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03192207-03 08.08.2019)
15. ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-3 მ/რ-ში მდებარე 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.651) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების და №01.10.16.006.115 საკადასტრო ერთეულზე რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმების თაობაზე (საკრებულოს №12-031919379-03 12.07.2019)
16. ქალაქ თბილისში, ზემო ვერა (N1)-ში არსებული 146 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 124 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.060.032) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ. (საკრებულოს #12-031922412-03 1.08.2019წ)
17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.15.01.003.045; N01.15.06.001.061; N01.15.01.003.048; N01.15.06.001.060; N01.15.01.003.046; N01.15.06.002.021; N01.15.06.002.020 და N01.15.01.003.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ (საკრებულოს #12-03192248-03)

18. ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.04.030.042) და ქალაქ თბილისში, სანაპიროს ქ. №2-ში მდებარე 818 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.003.031) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს #12-031922182-03 9.08.2019წ)

კომისიის წევრების მიერ დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ- ანგარიში.

ბიუჯეტის 6 თვის შესრულება კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ. 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლების 6 თვის გეგმა 483 098,0 ათასი ლარი, შესრულებულია 513 371,1 ათასი ლარით(106,3%). გადასახადების სახით ბიუჯეტში მიღებულია 386 656,0 ათასი ლარი, დაგეგმილთან შედარებით 16 063,8 ათასი ლარით მეტი. აქედან დღგ 2 17 445,9 ათასი ლარი, ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები 169 210,4 ათასი ლარი. გრანტის სახით 6 თვეში ბიუჯეტში მიღებულია 14 189,8 ათასი ლარი. მშ. სპეციალური ტრანსფერი 13 723,4 ათასი ლარი. სხვა შემოსავლების საბით ბიუჯეტში მობილიზებულია 112 5248 ათასი ლარი, რაც 6 თვის გეგმასთან შედარებით 15 690,0 ათასი ლარით მეტია. საქონელი და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 72 419,3 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი- 6 788,4 ათასი ლარი, მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის- 6 501,4 ათასი ლარი, დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით (ტაქსით) გადაყვანის ნებართვაზე 289,0 ათასი ლარი, დასახლებელული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი- 23 786,5 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი- 35 481,6 ათასი ლარი, სანქციებიდან და ჯარიმებიდან ბიუჯეტმა მიიღო 27 851,3 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 21 493,1 ათასი ლარი. სულ შემოსულობები 6 თვეში შეადგენს 535 923,6 ათას ლარს, რაც 3 151,3 ათასი ლარით მეტია პერიოდის გეგმასთან შედარებით.

გადასახდელები დაფინანსებულია 391 898,6 ათასი ლარით, 84,0%.

პრიორიტეტების მიხედვით:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა დაფინანსებულია 61 932,0 ათასი ლარით,რაც გეგმის 82,5%-ია. ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა,ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება დაფინანსებულია 79 187,2 ათასი ლარით (87,6 %). ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება დაფინანსება 27 732,2 ათასი ლარით (71,3%), ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა- 812,1 ათასი ლარით (33,3%), ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება დაფინანსებულია 8802,6 ათასი ლარით (99,2%), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 95 257,6 ათასი ლარით(87,5%), განათლება დაფინანსებულია 69 902,9 ათასი ლარით (88,9%), კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა დაფინანსებულია 10 988,0 ათასი ლარით (80,2%), საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება- დაფინანსებულია 1 666,0 ათასი ლარით, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები დაფინანსებულია 35 617,9 ათასი ლარით (75,0%).

გაიოზ თალაკვაძემ კომისიის წევრებს, დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა პრიორიტეტების შემაგდენელი პროგრამების და ქვეპროგრამების განხორციელებსთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებამა ცნობად მიიღეს“ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების შესახებ ანგარიში“.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი #11-01192272734 ქალაქ თბილისის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გადანაწილების შესახებ.

ლევან მიქავას განმარტებით, ნაძალადევის რაიონის გამგეობას, მათი წერილობითი მოთხოვნიდან გამომდინარე „სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებების" პროგრამაში ემატება 118 000 ლარი, „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხების" პროგრამაში არსებული რესურსის ხარჯზე. აღნიშნულ პროგრამაში ეკონომია გამოწვეულია, იმ გარემოებით, რომ დ.გურამიშვილის ქ.#70-ში ავარიული სახლიდან 38 ოჯახის გაყვანაზე ქირის ვალდებულება აიღო ინვესტორმა, ხოლო სოციალური დახმარების პროგრამაში მოთხოვნები დაგეგმილთან შედარებით გაცილებით მეტია. გარდა ამისა რაიონის „კეთილმოწყობის ღონისძიებების" პროგრამაში (კოდი 02 09 11) ხდება მუხლობრივი გადანაწილება ხარჯების კლასიფიკაციის მუხლებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. შესათანმხებლად წარმოდგენილია ასევე ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის კვარტალური ცვლილება. კერძოდ ბენეფიციართა გაზრდილი მომართვიანობიდან გამომდინარე „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის" პროგრამაში (კოდი 06 01 06) მეოთხე კვარტლიდან 86 000 ლარის გადმოტანა ხდება მესამე კვარტალში.

მომხრე-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების** გადანაწილების შესახებ", სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობა ითხოვს მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათავლისწინებული ასიგნებების გადანაწილებას, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას დანართის შესაბამისად.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი ქონების საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ნინო კვეტენაძემ.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჟორესის ქუჩა №13-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.22.003.022.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე .

მოქალაქე თინათინ ბიბილაშვილს სიმბოლურ ფასად გადაეცემა ჟორეშის ქუჩა №13-ში მდებარე 34,49 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 7 წელი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, სახლი №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.15.005.051.01.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მოქალაქე ბაჩანა ბერბიჭაშვილს გადაეცემა სიმბოლურ ფასად, ლილოს დასახლებაში 54,07 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1986 წლიდან.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევის №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.11.027.046) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

5 ოჯახს სიმბოლურ ფასად გადაეცემა საერთო ჯამში 332,79 კვმ საცხოვრებელი ფართი გაბრიელ სალოსის გამზირის V შესახვევის №1-ში. ეს არის ყოფილი კავშირგაბმულობის კორპუსი, სადაც ცხოვრობს სულ 28 ოჯახი. აქედან 20 ოჯახს 2012 წელს საცხოვრებელი ფართები დაუკანონდა 1 ლარად, 3 ოჯახი არის იძულებით გადაადგილებული და დარჩენილია 5 ოჯახი, რომლებიც 2000 წლიდან ცხოვრობენ და ამ დრომდე არ აქვთ დაკანონებული აღნიშნულ ფართები.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, თემქის დასახლების IV მიკრორაიონში, კორპუს №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.02.004.010.01.025) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ბაჩანა ბერბიჭაშვილს, რომელიც 1986 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, სიმოლურ ფასად გადაეცემა 54.07 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, III მასივის VI კვარტალის კორპუსი №9-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.030.010.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ლევან ბერაიას, რომელიც 2010 წლისდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, სიმბოლურ ფასად გადაეცემა 91,02 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მუხიანი-თემქის გადასასვლელის მიმდებარედ არსებული 644 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.17.004.430) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

შპს „მუხიანი 2002"-ზე, 1989 წლიდან მის მფლობელობაში არსებული 1,42 ჰა-ზე, 2008 წელს აღიარების კომისიამ გასცა საკუთრების მოწმობა სამ მიწის ნაკვეთად. ორი მიწის ნაკვეთი კომპანიამ საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა, მაგრამ მესამე მიწის ნაკვეთის (644 კვმ) დარეგისტრირება ვერ მოახერხა, ვინაიდან მიწის ლეგალიზების კომისიიდან პროკურატურამ მასალები ამოიღო. გარდა ამისა ქონების მართვის სააგენტომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი აუქციონის გზით გაასხვისა. კომპანიამ დაიწყო სამართლებრივი დავა.

საბოლოოდ 2010 წელს შედგა მოლაპარაკება კომპანიას, მერიასა და ახალ მფლობელ შორის. ახალ მფლობელს მიწის ნაკვეთი უნდა დაეთმო კომპანიისათვის, სანაცვლოდ მერია ახალ მფლობელს შეპირდა, რომ გაუწევდა შუამდგომლობას პრეზიდენტთან, რომ მას გადასცემოდა 500 კვმ მიწის ნაკვეთი ნავთლუღის მოპირდაპირედ. 2012 წელს ხელუფლების ცვლილების გამო ეს დაპირება ვერ შესრულდა და მფლობელმა მიწის ნაკვეთი გაასხვისა. გარდა ამისა მიწის ნაკვეთი ემიჯნება კორპუსს, სადაც ცხოვრობს 37 ოჯახი და არ არის კორპუსთან მისასვლელი გზა. საქმე ისევ სასამართლოშია. შპს"მუხიანი 2002" ითხოვს 644 კვმ მიწის ნაკვეთს (საკ/კოდი: 01.11.17.004.430), და თანხმაა სასამართლოდან სარჩელის გამოტანაზე , თანახმაა ასევე დათმოს სარჩელში სადაოდ გამხდარ საკითხთან დაკავშირებული ყველა სახის მოთხოვნა და სერვიტუტით დატვირთოს კომპანიის საკუთრებაში არსებული (საკ/კოდი: 01.11.17.004.327) მიწის ნაკვეთის ნაწილი, იმ პირობით, რომ ამ მიწის ნაკვეთზე მიეცემა მშენებლობის უფლება.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.019) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გეორგიოს ყავასთვის" (ს/ნ: 402072047) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

შპს „გეორგიოს" პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაეცემა 8 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირის საფასურია 1500 ლარი.იჯარის მოქმედების ვადა 2019 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.14.003.201) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის" (ს/ნ: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

შპს „ვენჯორჯიას" იჯარით გადაეცემა 22 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 5400 ლარი.იჯარის მოქმედების ვადა 2022 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №128-142-ის მიმდებარედ არსებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.074) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სოფიო ზაქარიაშვილისთვის (პ/ნ: 01005004689) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მოქალაქე სოფიო ზაქარიაშვილს, იჯარით გადაეცემა 2 კვმ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოსაწყობად. წლიური საიჯარო ქირაა 300 ლარი.იჯარის მოქმედების ვადა 5 წელი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქონების მართვის სააგენტოს, 2018 წლის 17 ოქტომბრის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-428-26-22761 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქონების მართვის სააგენტოს პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, ვახტანგ თურნავას საკუთრებაში გადაეცა 1257 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, ტაბახმელაში (საკადასტრო კოდი: N81.02.21.601). ხელშეკრულების თანახმად, მიწის ნაკვეთი გასხვისდა განსაკუთრებული პირობებით, მათ შორის, გათვალისწინებული იყო შემდეგი პირობა: ,,მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში''. მოქალაქე ითხოვს შეზღუდვის მოხსნას. ურბანული განვითარების სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აუქციონის წესით განკარგულ, N81.02.21.601 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განსაზღვრული შეზღუდვის მოხსნა. წარმოდგენილია საკითხი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქონების მართვის სააგენტოს, პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-428-26-22761 ხელშეკრულების ,,ბ'' პუნქტით გათვალისწინებული პირობის, კერძოდ ,,მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში'' გაუქმების თაობაზე.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №64-74-ის მიმდებარედ არსებული 3190 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.14.11.002.622) 25 კვ.მ. ფართობის და 19 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით სს „ლიბერთი ბანკისთვის" (ს/ნ: 203828304) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

სს „ლიბერთი ბანკს" იჯარით გადაეცემა 25 და 19 კვმ მიწის ნაკვეთები კიბისა და პანდუსის მოსაწყობად. იჯარის მოქმედების ვადაა 10 წელი. წლიური საიჯარო ქირაა 5400 ლარი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს" (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ხდება თბილისის მთავრობასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ (ს/კ: 204576066) შორის 2011 წლის 12 ივლისს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილება, კერძოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადა განისაზღვრა 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-3 მ/რ-ში მდებარე 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.10.08.006.651) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების და №01.10.16.006.115 საკადასტრო ერთეულზე რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმების თაობაზე

მიხეილ ლიბსკაიტე, ითხოვს ფანასკერტელის ქუჩის მიმდებარედ მის საკუთრებაში არსებული 816 კვმ მიწის ნაკვეთის გაცვლას, დიდი დიღმის დასახლებაში, მე-3 მ/რ-ში მდებარე 3191 კვ.მ. მიწის ნაკვეთში (ს/კ: №01.10.08.006.651). მოქალაქეს მიწის ნაკვეთი შეძენილი აქვს 2014 წელს აუქციონზე, მარავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვით. მშენებლობასთან დაკავშირებით ნებართვა მოსახლეობამ გაასაჩივრა სასამართლოში. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით შეიცვალა ასაშენებლი კორპუსის სართულიანობა და ნაცვლად 16 სართულისა, განისაზღვრა 5 სართულით. თუმცა მოსახლეობა მაინც აპროტესტებს მშენებლობას და ითხოვენ ნაკვეთს მიენიჭოს რეკრეაციული ზონის სტატუსი. მშენებლობა დაუშვებლად მიაჩნია რაიონის გამგეობასაც. მიხეილ ლიბსკაიტეს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ გადაეცემა დიდი დიღმის დასახლებაში, მე-3 მ/რ-ში მდებარე 3191 კვ.მ მიწის ნაკვეთი. საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 310 000 ლარი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ზემო ვერა (N1)-ში არსებული 146 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 124 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.15.02.060.032) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ. ზემო ვერა (N1)-ში არსებული 146 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 124 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობა N1-ი. საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა სატრაპეზოს მოწყობა.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.15.01.003.045; N01.15.06.001.061; N01.15.01.003.048; N01.15.06.001.060; N01.15.01.003.046; N01.15.06.002.021; N01.15.06.002.020 და N01.15.01.003.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის

იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას გადაეცემა N01.15.01.003.045; N01.15.06.001.061; N01.15.01.003.048; N01.15.06.001.060; N01.15.01.003.046; N01.15.06.002.021; N01.15.06.002.020 და N01.15.01.003.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

კომისიის წევრების შეკითხვაზე ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის ძირითადი ნაწილი გათვალისწინებულია სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისათვის, სხვა დანარჩენზე განთავსდება საეკლესიო მაღაზია, სველი წერტილები, ხოლო 781 კვმ მიწის ნაკვეთზე განთვასდება ავტოსადგომი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.04.030.042) და ქალაქ თბილისში, სანაპიროს ქ. №2-ში მდებარე 818 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.18.03.003.031) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს #12-031922182-03 9.08.2019წ)

შპს „ნინა" -ს და შპს „ სუბიექტი"ს დირექტორებმა ერთობლივი განცხადებით მომართეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვეს მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გაცვლა. მათ ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპანიებმა თავიანთი უძრავი ქონებები, მშენებლობის უფლებით შეიძინეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ ჩატარებულ აუქციონზე (ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის მიმდებარედ არსებული 1010 კვმ მიწის ნაკვეთი, საკ/კოდი: 01.10.16.004.222 შეიძინა შპს „ნინა"მ და 1500 კვმ მიწის ნაკვეთი, საკ/კოდი: 01.10.16.0047.223 შეიძინა შპს „სუბიექტმა"). მიწის ნაკვეთები მდებარეობს მდ.ვერეს ხეობაში. აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის საკითხი, სტიქიური მოვლენების შემდგომ, უსაფრთხოების თვალსაზრისით საზოგადოების განხილვის საგანია. ამავე დროს მიწის ნაკვეთები მიახლოებულია დატბორვის ზონას. კომპანიები ითხოვენ მიწის ნაკვეთების გაცვლას უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთსა (ს/კ: №01.14.04.030.042) და სანაპიროს ქ. №2-ში მდებარე 818 კვ.მ მიწის ნაკვეთში (ს/კ: №01.18.03.003.031). სანაპიროს ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე, კომპანია „სუბიექტი" თანახმაა გააკეთოს 24 თვეში 74 ავტომობილზე გათვლილი ორდონიანი მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომი და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს 50 ავტომობილის დაცული პარკირების ადგილის მოწყობა. კომპანიების საკუთრებაში არსებული , კერძოდ შპს „ნინა"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი სსიპ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, შეფასდა 662292 ლარად, ხოლო შპს „სუბიქტი"-ს საკუთრებაში არსებული (საკ/კოდი: 01.10.16.004.223) შეფასდა 888 238 ლარად. მიწის ნაკვეთი, რომელიც მოითხოვა შპს „სუბიქტ"-მა (სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 818 კვმ ფართი) სსიპ სამხარაულის ეროვნულმა ბიურომ შეაფასა 837553 აშშ დოლარად, მაგრამ კომპანიის მოთხოვნით შეფასებულ ღირებულებას დააკლდა 74 ავტომობილზე გათვლილი ორდონიანი მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომის და 50 ავტომობილის დაცული პარკირების ადგილის მოწყობის ხარჯები და საბოლოოდ აღნიშნული მიწის ნაკვეთის საბოლოო შეფასებითი ღირებულება განისაზღვრა 299530 ლარით (110259 აშშ დოლარი), ხოლო მიწის ნაკვეთი, რომელიც უნდა გადაეცეს შპს „ნინა"ს, სსიპ სამხარაულის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასებულია 1 368000 ლარად. კომპანიები მუნიციპალიტეტს გადაუხდიან ფასთა შორის სხვაობას 117 000 ლარს.

საკითხის განხილვა წარიმართა კითხვა პასუხის რეჟიმში.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი ზარქუამ, ლევან დავითაშვილმა, ლევან არველაძემ.

შეკითხვებზე დაწვრილებით განმარტა ნინო კვეტენაძემ

მომხრე- 4. ლევან არველაძემ და ვახტანგ შაქარიშვილმა თავი შეიკავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებთა უმრავლესობამ გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ლევან დარახველიძე